პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

29 აპრილი შაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 101 (15314)

ხუთწლედი—ვადამდე

მრეწველობის მუშაკებო! გაზარდეთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და განაახლეთ მისი ასორტიმენტი, გააუმჯობესეთ ხარისხი და შეამცირეთ თვითღირებულება! უფრო სრულად გაითვალისწინეთ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

პირველ კვარტალში ორ ათეულზე მეტი ჩარხი გამოუშვა გეგმის გადამეტებით თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა. ჩარხების დროულად და მაღალხარისხოვნად აწყობის საქმეში თავი გამოიჩინა საამწყობო საამქროს კოლექტივმა. ამწყობი ზეინკლების უმრავლესობა გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდა. შრომის მაღალ ტემპს ჩარხშენებლები აპრილშიც ინარჩუნებენ. საპირველმაისოდ საკისარი ვალდებულებები ვადამდე სრულდება.

ს ურ ა თ ზ ე: მოწინავე ამწყობი ზეინკლები (მარცხნიდან) ომარ მამადაშვილი და ომარ მირუაშვილი დღიურ დავალებებს 150-160 პროცენტით ასრულებენ.

შ. ჩხეტიანის ფოტო.

დიადი მონაპოვარი

პირველი მაისი მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დიადი დღესასწაულია. მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი დროშის ქვეშ დარაზმული მილიონობით ადამიანები ემზადებიან პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საბრძოლო ძალთა დათვალიერების დღისათვის.

წელს საბჭოების ქვეყანაში პირველი მაისი განსაკუთრებული შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში აღინიშნება, იგი გამოწვეულია სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მზადებით, რომელიც ქალაქად თუ სოფლად მიმდინარეობს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის შეუპოვარი ბრძოლის ნიშნით.

საბჭოთა ადამიანები მადლიერებით აღნიშნავენ ვ. ი. ლენინის დამსახურებას მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნაში. ლენინმა შემოქმედებითად განვითარა კ. მარქსის და ფ. ენგელსის მოძღვრება, შექმნა ეროვნული საკითხის გადაწყვეტის მწყობრი თეორია და ყოველმხრივ დაამუშავა კომუნისტური პარტიის მეცნიერული პრინციპები ეროვნულ საკითხზე.

რევოლუციის მთელი წლების მანძილზე ლენინი განამტკიცებდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას, ზრდიდა ეროვნულ რესპუბლიკათა კომუნისტურ პარტიებს ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, შეურიგებლად იბრძოდა დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ. მან პირველმა დაუდო საფუძველი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანებას. ლენინი თავიდანვე ხაზს უსვამდა იმ აზრს, რომ ჩვენ გვსურს ერების ნებაყოფლობითი კავშირი, ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებს არც ერთი ერის მიერ მეორის მიმართ ძალმომრეობას, ისეთი კავშირი, რომელიც დაფუძნებული იქნება სრულ ნდობაზე, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე და სრულ ნებაყოფლობით თანხმობაზე.

თანასწორუფლებიანი სუვერენული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნით ვ. ი. ლენინმა უდიდესი ჭვლილი შეიტანა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში, სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის პრაქტიკაში; ამით მან აღმოაჩინა მრავალეროვანი სახელმწიფოს ახალი ტიპი და გახსნა მისი ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე მშენებლობის არსი.

და სწორედ ამ ლენინურ პრინციპებზე შექმნილმა მრავალეროვანმა სახელმწიფომ — სსრ კავშირმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეძლო განხორციელებინა ჭვეყნის რეკონსტრუქცია, ინდუსტრიალიზაცია, წვრილი დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია, აეშენებინა სრული სოციალისტური საზოგადოება და ხერხებული გადეგმტვრია, საკუთარ ბუნებაშივე დაემარცხებინა ისეთი ვერაგი მტერი, როგორიც იყო დასავლეთში — ფაშისტური გერმანია, ხოლო აღმოსავლეთში — იმპერიალისტური იაპონია.

ხალხთა მეგობრობის ლენინური დროშისადმი ერთგულებით კომუნისტურმა პარტიამ შეძლო მოეპოვებინა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის წარმატებანი სოციალური და ეროვნული საკითხების ურთულესი პრობლემების გადაწყვეტაში. აშენებულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, გადაწყვეტილია წარსულში ჩამორჩენილი ცალეული მხარეების ხალხთა კაპიტალიზმის გვერდის ავლით წარმატებით გადასვლა სოციალიზმზე, ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. დღეს სსრ კავშირში შემავალ ყველა ხალხს აქვს თავის მაღალგანვითარებული მრეწველობა, ჰყავს თავისი მუშათა კლასი და ინტელიგენცია, ჰყვავის შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურა. და სწორედ ამაშია ხალხთა მეგობრობის ლენინური დროშის ძალა, მისი ცხოველმყოფელობა.

დღეს საბჭოთა ადამიანები ძლიერნი არიან იმ თავიანთი ძმური კავშირით, რომელიც მათ სამუდამოდ შეკრეს ამ ნახევარი საუკუნის წინათ. ახლა ერთობლივი გარჯით მათ შეუძლიათ ძოები დასძრახნ და წალკოტებად აქციოს უდაბნოები. ლენინის პარტია ძრავალეროვან ხალხთა საერთო ენერგიას წარმართავს დიადი საერთო მიზნისაკენ. პარტია ხალხს უჩვენებს მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში ახალი მწვერვალების დაპყრობის ნათელ გზებს. ბაგოთ ეს იოლი გზები როდია: ახალი მწვერვალების დაპყრობა შეიძლება მხოლოდ ყველას და თვითეულის ენერგიული შრომით. ხუთწლედის იმ მთავარი ამოცანის წარმატებით განხორციელების საწინდარი, რომ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ხალხის კეთილდღეობა სოციალისტური ეკონომიკის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე, არის თვითეული ჩვენგანის თავდადებული შრომა.

ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახვედრად შშრომელთა მზადებას წარმართავს სკკპ XXIV ყრილობის მიზნადასახულობათა განხორციელებისათვის თავდადებული ბრძოლის ნიშნით. ქართველმა ხალხმა თავისი ისტორიით კარგად იცის, თუ რას ნიშნავს პრაქტიკულად ხალხთა ლენინური მეგობრობა, თუ რა ძალა აქვს მას ერის მატერიალური და სულიერი პოტენციალის ყოველმხრივ განვითარებაში. ამიტომაც იგი სულ უფრო მტკიცედ ირაზმება ლენინის პარტიის გარშემო და ფეხაწყობით მიჰყვება სსრ კავშირის ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის დიად მწყობრში.

ვ. ი. ლენინი ნახევარი საუკუნის წინათ თავის წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“ წერდა: „მხურვალედ მივესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს“.

დიდი ხანია, რაც ხორცი შეისხა ვ. ი. ლენინის ამ წინასწარმეტყველურმა სიტყვებმა. ახლა არა მარტო კავკასიის, არამედ სსრ კავშირის ყველა ხალხს აერთიანებს ისეთი ურთიერთობა, რომელიც მართლაც, არნახულია ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელია ბურჟუაზიულ წყობილებაში. დღეს საქართველოში ქართველების მხარდამხარ შრომობენ არა მხოლოდ კავკასიის ხალხთა შვილები, არამედ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ადამიანები შუა აზიის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან, შორეული ციმბირიდან. საშაგიროდ ასევე შრომობს ქართველი კაცი მოძმეთა მხარდამხარ ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა კუთხეში. თვითეულ მათგანს დიდ სოციალისტურ ოჯახში აერთიანებს ეკონომიური ცხოვრების ერთობა, ერთიანი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, საერთო მაღალი მიზნები.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში საბჭოთა ადამიანები უფრო მჭიდროდ ირაზმებიან ხალხთა მეგობრობის დიადი ლენინური დროშის ქვეშ. უფრო ღრმა, უფრო მტკიცე ხდება პარტიისა და ხალხის კავშირი. ამას ხელს უწყობს ის უდიდესი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რასაც პარტია ეწევა მასებში. პარტიული ორგანიზაციები განუმარტავენ მშრომელებს პარტიის პოლიტიკას, უზრუნველყოფენ მათი აქტივობისა და ინიციატივის ზრდას შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტაში. საბჭოთა ადამიანები უსაზღვროდ ენდობიან ლენინის პარტიას, ვინაიდან მრავალი წლის ისტორიული გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ სწორია მისი პოლიტიკური კურსი, მისი გენერალური ხაზი.

საერთო შემოქმედებითი შრომა სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ერთობლივი ბრძოლა პარტიის მიზანდასახულობათა შესრულებისათვის კიდევ უფრო აახლოებს საბჭოეთის ხალხებს, განამტკიცებს კომუნიზმის მშენებელთა მრავალეროვანი ოჯახის ერთობასა და მეგობრობას.

დაე მარად ცოცხლობდეს და ჰყვაოდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული კოლიტიკის დიადი მონაპოვარი!

საპირველმაისოდ!

შვიდი მილიონით მეტი

ქუთაისი. („კომუნისტის“ კორ.). რიონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის კოლექტივმა, რომელიც უწუნოდ და უავარიოდ მუშაობს, დიდი გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალებ. ენერგეტიკოსებმა 7 მილიონ 200 ათასი კილოვატ-საათით მეტი ელექტროენერგია გამოიმუშავეს, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. ამასთან აქ საკუთარ მოხმარებაზე 8.000 კილოვატ-საათი ენერგია დაზოგეს, თვითეული კილოვატ-საათის თვითღირებულება გათვალისწინებულთან შედარებით 7,8 პროცენტით შეამცირეს და 29.500 მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს. ენერგეტიკოსებმა გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაზე 10 დღით ადრე და მაღალხარისხოვანად დაამთავრეს გუმათის № 2 ჰესის ორი აგრეგატის კაპიტალური შეკეთება.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ რიონჰესისა და გუმათჰესის ელექტრომექანიკური საამქროების კოლექტივები, როძლებსაც გ. ნიკოლაიშვილი და ი. ბერაძე ხელმძღვანელობენ.

კრეპ-შიფონს— ხარისხის ნიშანი

თბილისი. აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების (დირექტორი ჯ. მაჩუხაშვილი) კოლექტივსა ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ნაკლარ სოციალისტურ ვალდებულებებში მთავარ მუშაობად პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება შეიტანა. ფეიერები დაპირებას პირნათლად ასრულებენ. განსვლილ პერიოდში პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების დავალება შესრულებულია. საგრძნობლად გაუმჯობესეს ქსოვილის მოჩითულობა. ახლა აქაური ქსოვილი მომხმარებელს მოსწონს, სიამოვნებით ყიდულობს. სწორედ ამის შედეგია ის, რომ საწარმოს კოლექტივმა პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით 300 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინა.

ბევრი ქსოვილის სტრუქტურა და კოლორატული გაფორმება ძეესაბამება საუკეთესო საბჭოთა და აუნდარგარეთული ნიმუშეიდა. 1970 წელს „კრეპ-შიფონმა“ ბალი შეფაიება დაიხსახურა საბჭოთა ავეაჭრო-სარეწველო გამოფენაზე, პარიზი. შედეგმ კიდევ უფრო გაუმჯობესეს ამ ქსოვილის ხარისხი, ამას წინათ სახელმწიფო საატესტაციო კომისიამ „კრეპ-შიფონს“ ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიაკუთვნა. წელს ავაჭრო ორგანიზაციები ხარისხისნიშნიან 60 ათას მეტრ „კრეპ-შიფონს“ მიიღებენ.

ხუთწლედის მეორე წელს გამოშვებ უ ლ ი იქნება კიდევ ოთხი ახალი სახის ქსოვილი, რომელთა ნიმუშებ მ ა დიდი მოწონება დიამასხურეს სარესპუბლიკათაშორისო საპითუმო ბაზრობაზე. პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას, ქსოვილების მოჩითვის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო ერთიანი სამხატვრო სახელოსნოსა და დესინატორთა ჯგუფის შექმნამ.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე დადებითი გავლენა მოახდინა ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვამ. დადგმულია და წარმატებით მუშაობს 126 პნევმატიკური დაზგა, რის შედეგადაც 40 პროცენტით გაიზარდა პროდუქციის გამოშვება და ამაღლდა ხარისხი. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში კიდევ დაიდგმება ამ სისტემის 73 დაზგა.

ტყიბულიდან საზღვარგარეთ

ტყიბული. (საკ. კორ.). გელათის ტრანსფორმატორებ ი ს ქარხანას, რომელიც წარმატებით შრომობს საპირველმაისო ვახტზე, წელს არსებობის ათი წელი უსრულდება, საწარმოს პროდუქცია ახლა 30-ზე მეტი მისამართით იგზავნება, გაზხათი ტრანსფორმატორები უკვე გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. გელათური პროდუქციის პირველი პარტია მიიღეს ბულგარეთისა და ირანის სამრეწველო საწარმოებმა.

საერთაშორისო ბაზარზე პოპულარული გახდა ტყიბულისა და ორპირის ჩაის ფაბრიკების პროდუქცია. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მარტო ტყიბულის ჩაის ფაბრიკამ საზღვარგარეთ ას ტონაზე მეტი ჩაი გაგზავნა.

მექრავეებმა ღრმს გაუსწრეს

თბილისი. აპრილის დავალება ვადამდე შეასრულა № 7 სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ნ. გვახარია) კოლექტივმა, რომელიც საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული. მკერავებმა 26 აპრილისათვის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.100 ათასი მანეთისა მოახდინეს 3.150 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

მკერავებმა ვალდებულება იკისრეს საპირველმაისო დღესასწაულისათვის თვის გეგმის გადამეტებით მოახდინონ 150 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

რეალიზაციაც, მოგებაც

ახალციხე. (საკ. კორ.). „საქმთავარგაზის“ ახალციხის № 6 სამოხტაკო-საეკსპლოატაციო ტრესტის (ძმართველი გ. გიორგაშვილი) კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდეს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილეს. ტრესტის კოლექტივმა პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე შეასრულა. სამ თვეში დაამონტაჟა 1.856 ცალი გაზჩერა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.400 ცალისა, გეგმის გადამეტებით 83 ტონა თხევადი გაზის რეალიზაცია მოახდინა და 26 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მოლაპარაკება

28 აპრილს კრემლში დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარის ანვარ სადათის ძოლაპარაკები.

მოლაპარაკებაში მონაწილეობენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი და სხვა ოფიციალური პირნი,

ეგვიპტის მხრივ — პრეზიდენტის მოადგილე ეროვნული უმიშროების საკითხებში მუჰამმედ ჰასანეინ ჰეიკალი, საგარეო საქმეთა მინისტრი მუჰამმედ მურად გალები, სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი გენერალი ჰუსნი მუბარაკი და სხვები.

მეგობრობის, გულწრფელობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში, რომელიც ორი ქვეყნის ეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების სულიაკვეთებას ეფესაბამეა, განხილეს საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის თანამშრომლობის ძეძღვომი გაფართოებისა და გაღრმავების საკითხები, აგრეთვე ურთიერთსაინტერესო აქტუალური საერთაშორისო კრობლემები. გახსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის გახხილვას, რომელიც ალა იქმხება იმის შედეგად, რომ ისრაელი იმპერიალისტური ძალების მხარდაჭერით ასორციელებს აგრესიის დანაშაულებრივ პოლიტიკას არაბული ქვეყნების მიმართ. (საკდესი).

მეგობრულ ვითარებაში

28 აპრილს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართეს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარის ანვარ სადათის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

საუზმის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და ანვარ სადათმა სიტყვები წარმოთქვეს.

საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).



ჩვენს დიად საქმეოჯღოში

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი

27 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში **კვონ ხი ჯენი** და მეგობრულად ესაუბრა მას. (საკდესი).

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. **კოსიგინმა** 27 აპრილს კრემლში მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი **ზენონ ნოვაკი** და ესაუბრა მას. საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მხატვართა დიდი ფორუმი

ბაკო, 27 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს ბაკოში დამთავრდა რესპუბლიკის მხატვართა ყრილობა, რომელზეც სჯა-ბაასი იყო აზერბაიჯანის სასვითი ხელოვნების შემდგომი აღმავლობის გზების შესახებ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა აზერბაიჯანის მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ ტოკაი მამედოვმა. საბჭოთა ხალხის ერთიანობის დიად დღესასწაულს, აღნიშნა მან, აზერბაიჯანელი მხატვრები აღნიშნავენ ახალი ნამუშევრებით. ბაკოში მთავრდება ნარიმან ნარიმანოვისა და სტეფანე შაუმიანის ძეგლების აგება. ყრილობამ აირჩია აზერბაიჯანის მხატვართა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოები, სსრ კავშირის მხატვართა IV ყრილობის დელეგატები.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ა. ხალილოვი.

მხოლოდ ახალი ამგები

● **კუიბიშევი.** ათეულათასობით ტონა ნავთობი გადატუმბეს წლის დამდეგიდან გეგმის გადაძეტებით საბჭოთაშორისო მილსადენი „ძეგობობის“ სათავე კუიბაშევის მონაკვეთით.

● **დნეპროძერჟინსკი.** „დნეპრქიმძეენის“ ტრესტის მშენელებმა დაამთავრეს ქიმიურ კომბინატში ძეიძე ორგანული სითეზის საამქროთა ახალი კოძალექსის მშენებლობა. აქ დაიწყება პოროლონისა და ხელოვნური ტყავის წარმოება ავტომობილ „ჟიგულის“ შიდა მოპირკეთებისათვის. ახალი კომპლექსის ერთ-ერთ საამქროში ვადაზე ათი დღით ადრე მიღებულია პირველი ტონა პროდუქცია. (საკდესი).

კიევი. ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტის კოლექტივი ნაყოფიერად შრომობს იმისათვის, რომ შექმნას ახალი შემდუღებელ მოწყობილობანი, შეიმუშაოს და დანერგოს შედუღების ახალი მეთოდები.

სურათზე: კონტაქტურ-შეპირაპირებით შედუღების ახალი აგრეგატის გამოცდა. აგრეგატი შესაძლებელს გახდის რელსებისა და მილების შედუღების სიჩქარის მნიშვნელოვნად გადიდებას.

ა. პოდუბნის ფოტო, (საკდესის ფოტოქრონიკა)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ინფორმაციის დღე

28 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მორიგი ინფორმაციის დღე.

ინფორმაცია „საქართველოს კვების მრეწველობის ძირითადი ამოცანები მეცხრე ხუთწლედში“ გააკეთა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრმა ა. ხუროძემ.

ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგიერთი საკითხი გააშუქა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის დირექტორმა ი. მირცხულავამ. (საქინფორმი).

ნ. ი. მუსხელიშვილს გაუმართეს

გელგარეთის სახალხო რესპუბლიკის ორდენები

28 აპრილს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში „კირილესა და მეთოდეს“ პირველი ხარისხის ორდენი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი ხარისხის ორდენი საზეიმო ვითარებაში გადაეცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილს.

„კირილესა და მეთოდეს“ პირველი ხარისხის ორდენით გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი დაჯილდოვდა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის შექმნის 100 წლისთავის აღსანიშნავად და ბულგარეთის მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ორდენი მას მიენიჭა დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით მეცნიერების განვითარებაში და ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეცნიერული თანამშრომლობის განმტკიცებაში დიდი დამსახურებისათვის.

ნ. მუსხელიშვილს ჯილდოები გადასცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივნის მოადგილემ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ხოხლოვმა.

ნ. მუსხელიშვილი შემქმნელია ორიგინალური მათემატიკური სკოლისა, რომლის ნაშრომებმა ფართო სახელი და მსოფლიო აღიარება მოიპოვეს, იგი საზღვარგარეთის მთელი რიგი აკადემიების, მათ შორის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, მონაწილეობდა ამ აკადემიის 100 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას, სახალხო კრების პრეზიდიუმსა და მთავრობას მისი დამსახურების მაღალი შეფასებისათვის, აღუთქვა, რომ კვლავაც მთელ თავის ძალ-ღონეს მოახმარს მეცნიერული კავშირთურთიერთობის გაავითარ ე ბ ას მომძე სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებთან.

— საპატიო ჯილდო, — თქვა ნ. მუსხელიშვილმა, — მიმაჩნია არა მარტო როგორც პირადი ჯილდო, არამედ როგორც მთელი ქართული მეცნიერების მიღწევათა აღიარება, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების აკადემიათა მეცნიერული კავშირურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების დადასტურება. (საქინფორმი).

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და ქ. თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით **ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოფანიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ძვანაძე

თბილისი, 1972 წლის 28 აპრილი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 აპრილის ბრძანებულებით თეატრალური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებს მიენიჭათ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა — **ტაუგაზოვს** გაბრიელ დანიელის-ძეს, **ცხოვრებოვს** ბორის ალექსანდრეს-ძეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა — **გასანოვას** თამარ გასანის ასულს, **გასიევას** რაისა ზაქარიას ასულს, **გუგკაევას** ეკატერინა ლენტოს ასულს, **თარაღაშვილს** ელისაბედ ვასილის ასულს, **თედეევს** ალიხან ვასილის-ძეს, **პლიევას** (გრიგორიანს) რაისა გრიგოლის ასულს, **ჩაბიევს** რუსლან მინეილის-ძეს, **ჩოჩიევს** ალბასმატ ნიკოლოზის-ძეს, **ძაგოევს** რუსლან გორგის-ძეს, **ჯიგკაევს** ივანე გრიგორის-ძეს.

КИЕВ. Е. О. ПАТОНУ НАЗВАНИЕ ЭЛЕКТРОСВАРОЧНОГО ИНСТИТУТА КОЛЛЕКТИВ ПЛОДОТВОРНО ТРУДИТСЯ НАД ТЕМ, ЧТОБЫ ПРЕДЛОЖИТЬ НОВЫЕ МЕТОДЫ СВАРКИ.

СУРАТЗЕ: КОНТАКТНАЯ ПРЕССУРНАЯ СВАРКА НОВОГО АГРЕГАТА ПОЗВОЛЯЕТ СВАРИВАТЬ РЕЛЬСЫ И ТРУБЫ.

А. ПОДУБНЫЙ ФОТО, (ФОТОХРОНИКА САКДЕСИ)

ТБИЛИСИ. ЗАВОД ЭЛЕКТРОВОЗОСТРОЕНИЯ ИМЕНИ ЛЕНИНА ВЫПУСКАЕТ ЭЛЕКТРОВОЗЫ ПОВЫШЕННОЙ МОЩНОСТИ.

Г. ЛОМСАДЗЕ ФОТО, (ФОТОХРОНИКА САКДЕСИ)

3. ი. ლენინის სახელოვნის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავისათვის

ნორჩ თაობაზე ზრუნვით

კომუნისტები—პიონერებს

1972 წლის 19 მაისს საბჭოთა ხალხი იდღესასწაულებს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავს. საბჭოთა პიონერიის ნახევარსუკუნოვანი ისტორია აღსავსეა პატრიოტიზმისა და გმირობის მაგალითებით. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ხალხის დაუცხრომელ ბრძოლასა და შრომასთან კომუნიზმის შენების ნათელ გზაზე და ადასტურებს ლენინის აზრს იმის შესახებ, რომ ბავშვთა ორგანიზაცია კომუნისტური აღზრდის საუკეთესო გზაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავის შესახებ“ ნორჩი თაობისათვის პარტიის განუზრელი ზრუნვის ახალი დადასტურებაა. მასში ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ღრმა ანალიზთან, პიონერული ორგანიზაციისადმი პარტიული და კომკავშირული ხელმძღვანელობის გამოცდილების განზოგადებასთან ერთად დასახულია ნორჩ თაობასთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზები და ამოცანები.

რუსთავის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციას პიონერიისადმი ხელმძღვანელობის საკმაო გამოცდილება აქვს. რუსთავში თერმოქიმი ათასამდე პიონერია. მათ იდეურ-ზნეობრივ ჩამოყალიბებაზე, ფიზიკურ სრულყოფაცა და განათლებაზე პედაგოგთა მრავალრიცხოვან არმიასთან ერთად 35 უფროსი პიონერხელმძღვანელი ზრუნავს, რომელთაგან 28 უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებით არის. მრავალ მათგანს: ქ. კუბუხიძეს, ნ. ზურაბიშვილს, ლ. მეტრეველს, ვ. ჩუმაჩენკოს, ნ. გრიგოლაშვილსა და სხვებს მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. პიონერულ მუშაობაში ყოველწლიურად ახალი ძალებიც ებმებიან. მათთან მასობრივ-მეთოდური მუშაობის გასაშლელად პიონერთა საქალაქო სახლში 6 წლის წინათ ჩამოყალიბდა უფროს პიონერხელმძღვანელთა კლუბი „ოცნება“, სადაც სისტემატურად ეწყობა პიონერული აქტივის სწავლება.

უფროსი პიონერხელმძღვანელები კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ორგანიზატორებთან ერთად გაერთიანებული არიან პიონერთა სახლის მეთოდური განყოფილების ბაზაზე არსებულ პიონერული მუშაობის ფაკულტეტში. მათთვის სისტემატურად იმართება სემინარები, საინსტრუქტაჟო თათბირები და საინტერესო შეხვედრები.

პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება პერიოდულად აწყობს უფროს პიონერხელმძღვანელთა და კომკავშირული მუშაკების თათბირებს, სადაც სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის აქტუალური საკითხების განხილვასთან ერთად რჩევა-დარიგებას აძლევს მათ, თუ როგორ გაუწიონ პროპაგანდა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს მოსწავლეთა შორის, როგორ მოვამზადონ პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავის ღირსეულად აღსანიშნავად.

პიონერხელმძღვანელებს ვასწავლით პარტიული პოზიციებიდან მიუდგნენ თავიანთ საქმიანობას, უნარიანად წარმართონ ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა მტკიცე და ღრმა ცოდნისათვის, განუზრელად აამაღლონ პიონერული ორგანიზაციის, როგორც აგდაგოგიური კოლექტივის თანაშემწის, როლი და მნიშვნელობა, შეუპოვრად იბრძოლონ იმისათვის, რომ მიაღწიონ მოსწავლეთა ქცევის მაღალ კულტურას, ღრმად ჩასწვდნენ მათი მრავალფეროვანი ცხოვრების ყველა მხარეს, პიონერებს შორის განავითარონ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი მისწრაფება.

სკოლებში უფროსი პიონერხელმძღვანელების ავტორიტეტის ამაღლების მიზნით გადავწყვეტეთ მათ შორის საუკეთესონი მივიღოთ პარტიის რიგებში. დარწმუნებული ვართ, რომ კომუნისტი პიონერხელმძღვანელი მეტი პასუხისმგებლობით და მიზანდასახულობით წარმართავს პიონერულ მუშაობას, ის ცეცხლი და ენთუზიაზმი, რომანტიკისა და ძიების წყურვილი, რომლებიც პიონერხელმძღვანელების ყველა უფროსი პიონერხელმძღვანელი სკოლის პედაგოგიური საბჭოს წევრია. ისინი ჯეროვნად სარგებლობენ თავიანთი უფლებებით და მასწავლებლების მხარდამხარ ნაყოფიერად მუშაობენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მართალია, პიონერულ მუშაობას უშუალოდ კომკავშირი განაგებს, მაგრამ სასაოლო პარტიული ორგანიზაციები სისტემატურ კონტროლსა და დახმარებას უწევენ რაზმეულებს.

მე-15 საშუალო სკოლაში პარტიული ორგანიზაციის (მდივანი ვ. ჭურჭუმია) ხელმძღვანელობით მოქმედებს „ოპერატიული შტაბი“, რომელსაც აღრიცხვაზე აყვანილი ჰყავს ყველა ძნელადაღსაზრდელი, ოროსანი, მეორეწლიანი და წესრიგის დამრღვევი მოსწავლე. კლასის ხელმძღვანელები ყოველდღიურად ავსებენ სპეციალურ ბარათებს, რომელთა საშუალებით პარტიული ორგანიზაცია ეცნობა აღრიცხვაზე აყვანილი მოზარდების საქმიანობას. ყოველი კვირის ბოლოს დაჯამებული შედეგები ეგზავნება სასლთმმართველობებთან არსებულ საზოგადოებრივ ინსპექტორთა საბჭოებს განსაზღვრულად და სათანადო ზომების მისაღებად. წყლს პარტიულმა ორგანიზაციამ ღია პარტიულ კრებაზე განიხილა საკითხი: „პიონერული რაზმეულის მუშაობა და უფროსი პიონერხელმძღვანელის როლი სკოლაში“. ამ მიმართულებით ასევე ნაყოფიერად მუშაობენ სხვა სასკოლო პარტიული ორგანიზაციები.

წითელყელსახვევიან გოგონებსა და ბიჭებს თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში დიდ დახმარებას უწევენ ქალაქის საწარმოთა და დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების მიერ პიონერხელმძღვანელებად გამოყოფილი მოწინავე ახალგაზრდები. 7 წელია მეგობრობენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშა თთარ წოწინავა და მე-10 სკოლის პიონერული რაზმეული, სადაც იგი რაზმის ხელმძღვანელად მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ ო. წოწინავა ამჟამად სხვა საწარმოშია გადასული, ნორჩ მეგობრებთან კავშირი არ გაუწყვეტია. წყლს რაზმეულის პიონერებმა თთარის დახმარებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად მწვანით შემოსეს რუსთავის მთა, პირველი ნაბიჯი გადადგეს უტოვებენ თავიანთი ხელით დამზადებულ სამახსოვრო საჩუქრებს, და მისალოც ბარათებს. შაბათობის შემდეგ ტრადიციად იქცა პიონერული ხაზის მოწყობა, - რომელშიც ბრიგადის წევრებიც მონაწილეობენ.

მეტალურგიული, ქიმიური ბოჭკოს, ცემენტის ქარხნების, ქიმიური კომბინატისა და სხვა მსხვილ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ინიციატივით ქალაქის პიონერია მომარაგებულია პიონერული ატრიბუტებით — დოლებით, საყვირებით, დროშებით და სხვ.

პარტიის საქალაქო კომიტეტის გადაწყვეტილებით იუბილეს დღეებში ყველა სკოლის პიონერულ რაზმსა და რგოლზე დამტკიცდნენ შეფები, რომლებიც პატარებს ეხმარებიან სპორტული მოედნებისა და რადიოკავშირების მოწყობაში, ხელსაწყობებისა და თვალსაჩინო სამუალებების დამზადებაში.

ბავშვებს უყიათ, როცა ღვაწლმოსილი ადამიანები თანატოლებივით ესაუბრებიან. კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა კარგად გაითვალისწინა ეს ვიანაო სოფელ თანატოლებს უგზავნიან წიგნებს, სასწავლო ხელსაწყოებსა და სათამაშოებს.

სასკოლო პარტიული ორგანიზაციებისა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის დახმარებითა და ხელმძღვანელობით ქალაქში ბევრი რამ კეთდება* მოხუცებულთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის გაუმჯობესებისათვის. „პიონერი მეგობრობს მსოფლიოს ყველა ბავშვთან“ — ამ დევიზით მონაწილეობენ ნორჩები „შვიდობისა და სოლიდარობის მარშრუტებში“.

თითქმის ყველა სკოლაში შექმნილია ინტერნაციონალური მეგობრობის კუთხე, არდადეგების დღეებში ტრადიციად იქცა დელეგაციების გაცვლა მოძმე რესპუბლიკების ქალაქებისა და რუსთავის სკოლებს შორის.

საინტერესოდ წარმართავენ მუშაობას მე-2, მე-12, მე-11 სკოლებში არსებული ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბები, სადაც შექმნილია თარჯიმნების, კორესპონდენტების, მასობრივი მუშაობის ორგანიზატორებისა და სხვა სექციები.

მე-19 საშუალო სკოლის პიონერებს მეორე წელია მშვიდობის ფონდში თავიანთი წვლილი შეაქვთ. მათ 50 კილოგრამი სამკურნალო ბალახები მეადგოლეს და ანბოს ბავშვთა ჰოსპიტალს გაუგზავნეს.

ქალაქის საზოგადოებრიობისა და პედაგოგ ორგანიზატორთა ინიციატივით მრავალი საინტერესო ღონისძიება ხორციელდება საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. ტრადიციად იქცა ნორჩი ტალანტების საქალაქო დათვალიერება, ასპარეზობა „ტკბილის ბურთის პრიზზე“, ნორჩი მხატვრების საქალაქო გამოფენა, სახაფსულო არდადეგების პერიოდში მიკრორაიონებში პიონერული ბანაკების მოწყობა და სხვ.

საქალაქო პარტიული ორგანიზაცია, მთელ თავის მუშაობას წარმართავს ნორჩი თაობის აღზრდისათვის, პიონერებს და მოსწავლეებს შორის აუმჯობესებს პარტიის XXIV ყრილობის მასალების პროპაგანდას, ხელს უწყობს მოსწავლეებში შრომითი ჩვევების გამომუშავებას და მათი შემოქმედებითი უნარის განვითარებას.

მიმდინარე წლის მაისის დასაწყისში ჩავატარეთ სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „სკკპ XXIV ყრილობა მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის შესახებ“. განხილული გვაქვს მთელ რიგ სხვა ღონისძიებათა განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს პიონერული მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფას.

ვ. პატეიშვილი.
საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

„კომუნისტის“ ნიგნალის შემდეგ

ვითომ ხახვივით შერჩეულნი?!

რედაქციას საქართველოს კპ ტყიბულის საქალაქო კომიტეტი

ჩვენი გაზეთის 22 მარტის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი სათაურით „ვითომ ხახვივით შერჩეულნი?!“, რომელშიც მხილებული იყო „საქნახშირის“ კომბინატის მუშათა მომარაგების ტყიბულის განყოფილებაში ვაჭრობის წესების დარღვევის ალმაშფოთებელი ფაქტები.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს კპ ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. გოცირიძემ რედაქციას აცნობა, რომ:

წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. ეს ფაქტები წერილის გამოქვეყნებამდე გამოავლინა პარტიის საქალაქო კომიტეტის მიერ გამოყოფილმა კომისიამ. მიმდინარე წლის 2 მარტს საქალაქო კომიტეტის ბიურომ იმსჯელა კიდეც წერილში დასახელებულ და ზოგიერთ სხვა დარღვევათა შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა „საქნახშირის“ კომბინატის მუშათა მომარაგების ტყიბულის განყოფილებაში.

იმის გამო, რომ ამ განყოფილების მუშაკებმა არ შეასრულეს პარტიის საქალაქო კომიტეტის მითითება მატლასავან დაზიანებული პროდუქტების რეალიზაციის აღკვეთის შესახებ, საქალაქო კომიტეტის ბიურომ თანამდებობიდან მოხსნა მუშათა მომარაგების განყოფილების ცენტრალური სასურსათო სწყობის გამგე ი. ვარდოსანიძე, ხოლო განყოფილების უფროსი ვ. რიგვავა და მისი მოადგილე ლაცალო ვაჭრობის დარგში ვ. დოხნაძე დროებით დაფოვა თანამდებობაზე პროკურატურის მიერ საქმის გამოძიების დამთავრებამდე.

ზემოაღნიშნული წერილის გამოქვეყნების შემდეგ გამოირკვა ახალი გარემოებანი, რომლებიც ადასტურებს, რომ მუშათა მომარაგების განყოფილების ხელმძღვანელები კვლავ სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მითითებათა შესრულებას. აღნიშნულის გამო ბიურომ მიზანშეწონილად ჩათვალა აღარ დალოდებოდა პროკურატურის მიერ საქმის გამოძიების დამთავრებას, და ამა წლის 27 მარტს ბიუროს სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი გაზეთ „კომუნისტის“ 1972 წლის 22 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ წერილზე „ვითომ ხახვივით შერჩებათ“?! რეაგირების შესახებ.

სარეალიზაციოდ უვარგისი პროდუქტებით ვაჭრობის დაშვებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეშად დარღვევისათვის ბიურომ თანამდებობიდან მოხსნა „საქნახშირის“ კომბინატის მუშათა მომარაგების ტყიბულის განყოფილების უფროსი ვ. რიგვავა და გამოუცხადა მას სახტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

სარეალიზაციოდ უვარგისი პროდუქტებით ვაჭრობის აღკვეთის და პროკურატურის მითითებათა შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის თანამდებობიდან მოიხსნა სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი ი. შურღაია და გამოეცხადა მას სახტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. იმავე ბრალდებით თანამდებობიდან მოიხსნა კვების ექიმი გ. ბერძულაშვილი.

სარეალიზაციოდ უვარგისი პროდუქტებით ვაჭრობის აღკვეთის და ქმედითი ღონისძიებების მიღებლობისათვის მუშათა მომარაგების განყოფილების გამგის მოადგილეს საცალო ვაჭრობის დარგში ვ. დოხნაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით უკანასკნელი გაფრთხილებით, ხოლო საწყვების განყოფილების უფროსს ბ. ჭელიძეს გამოეცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით, საყვედური გამოეცხადა აგრეთვე მუშათა მომარაგების განყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივანს მ. ჯიშიაშვილს.

ბიურომ დასვა საკითხი „საქნახშირის“ კომბინატის მუშათა მომარაგების სამმართველოს ხელმძღვანელების წინაშე, რათა მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი დადონ ყველა იმ პირს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით უვარგისი პროდუქტების სარეალიზაციოდ გამოტანაში.

ამჟამად „საქნახშირის“ კომბინატის მუშათა მომარაგების სამმართველოს და პროკურატურის მიერ მოწვეული სპეციალისტების მეშვეობით მიმდინარეობს პროდუქტების საბოლოო შემოწმება-გადამუშავება, რის შედეგადაც საკვებად უვარგისი პროდუქტები განადგურდება, ხოლო გადამუშავებული და გაწმენდილი პროდუქტები, რომლებიც საკვებად ვარგისია, გამოყენებულ იქნება დანიშნულებისამებრ სპეციალისტების მითითებათა შესაბამისად.

პროკურატურა აწარმოებს საქმის გამოძიებას და უშუალოდ დამნაშავე პირები მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

წერილი არ დაგეჭდილა, მაგრამ...

ჩვენი გაზეთის მკითხველი გვატყობინებდა, რომ გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნახუნაოს კოლმეურნეობაში ადგილი აქვს დამახინჯებებს, ნაკლოვანებებს. ეს სიგნალი სათანადო ზომების მისაღებად გეგეჭკორის რაისაბჭოს აღმასკომს გადაეგზავნა.

ამ გარეგანებასთან დაკავშირებით გეგეჭკორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ კ. ახათინამ რედაქციას აცნობა, რომ სიგნალში დასახელებული ფაქტები შემოწმებით ძირითადად დადასტურდა.

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ე. ჭოჭუა სუსტი მუშაობისათვის განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ტექნიკური აზრის ადამიანები

ფეიქართა წვლილი

...**ფეიქრებმა** მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს სამშობლოს 120 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგლბარისხვანი პროდუქცია გაუგზავნეს. ამ წარმატებაში შემოქმედებითი წვლილი შეიტანეს წარმოების რაციონალიზატორებმა, მათ 270 წინადადება წარმოადგინეს, საიდანაც 233 დაინერგა. ეკონომიური ეფექტი გაანგარიშებულ იქნა 157 წინადადებაზე. წარმოებამ მიიღო 234.200 მანეთი წლიური ეკონომია...

ეს შედეგები განიხილეს ამ დღეებში გორის ბამბეულის კომბინატის საქართნო კომიტეტის სხდომაზე. შეოთხე კვარტალში ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდათ გამომყვანი ფაბრიკის, მთავარი მექანიკოსის განყოფილების და მეორე სართავი ფაბრიკის რაციონალიზატორთა კოლექტივებს. მაგალითად, გამომყვანი ფაბრიკის რაციონალიზატორებმა ბაკისტ ვალდებულებაზე 6 წინადადებით მეტი წარმოადგინეს და 15.800 მანეთით მეტი ეკონომიური ეფექტი მიიღეს, ვიდრე ნაკისრი ვალდებულება თვალისწინებდა. 10 წინადადებით მეტი შემოიტანეს და განხორციელებულ წინადადებებზე 10.400 მანეთით მეტ ეკონომიურ ეფექტს მიაღწიეს ა.რეთეკი მთავარი ტექნიკოსის განყოფილების ოსტატი რ. ცერაძე, მთავარი მექანიკოსის განყოფილების ოსტატი ყ. აბულაძე და მ. ეგეორქანი, რომელთა ტექნიკურ-შემოქმედებითი შრომის მაგალითზე დღითიდღე იზრდება რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რიცხვი.

ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ გასულ ხუთწლედში 293 რაციონალიზატორმა 2.289 წინადადება წამოაყენა, საიდანაც 2.153 დაინერგა წარმოებაში და საერთო ეკონომიერმა ეფექტმა 809 ათასი მანეთს მიაღწია.

გორის ბამბეულის კომბინატის რაციონალიზატორები არც წელს ანებებენ თავიანთ მოღვაწეობას შშობლიური საწარმოს ტექნიკური პროგრესისათვის. ახალი მნიშვნელოვანი წინადადებების ავტორები არიან მ. გეეგორქიანი, ყ. აბულაძე, მ. კოლესნიკოვი, შ. საკაშვილი, ა. ტობესაშვილი, ბ. ლიტიაგინი და სხვები. ფეიქარ-რაციონალიზატორთა სოციალისტური ვალდებულება კიდევ უფრო სრულყოფ თავიანთი ტექნიკურ-შემოქმედებითი შრომა, ახალ წინადადებათა დანერგვის გზით წლის ბოლომდე წარმოებას მისცეს 165 ათასი მანეთი ეკონომიური ეფექტი და ამით ღირსეული წვლილი შეიტანონ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

ი. თევდორაშვილი.

თელავში რძის ავტომატიზებული წარმოების კომპლექსისათვის დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის ფირმა „ვიტკოვიჩის“ მიერ დამზადებული ოთხი ცილინდრული სენაჟისსაცავის მონტაჟი. ფირმა გათვალისწინებულია 800 სულ მსხვილფეხა საქონლისათვის. თუ არსებულ ფერმებში 800 სულ საქონელს 52 კაცი უვლის, ამ ფერმაში ამ მოვალეობას 16 კაცი შეასრულებს.

სურათზე: საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის სამშენებლო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი გ. სიხარულიძე (ცენტრში), ქვეხმთელი გ. დემეტრაშვილი (მარჯვნივ) და ათისთავი თ. იბრაგიმოვი მშენებლობაზე.

(საქინფორმის ფოტო.)

მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი

პროპაგანდისჯი მთავარი ფიგურაა

ლენინ რომელ პარტიულ ორგანიზაციასაც უნდა გაეკითხო, დარწმუნდებიო, რომ პარტიულ კომიტეტებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური განათლების საკითხები თავიანთი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიაჩნიათ.

დიდი მუშაობა წარმოებს პროპაგანდისტთა სწავლა-აღზრდისა და მეთოდიური მოსახურებისათვის. გასულ წელთან შედარებით თითქმის ორჯერ გაიზარდა პროპაგანდისტთა კურსების, სემინარების, ელექტორიუმების, თეორიული და მეთოდური კონფერენციების რაოდენობა. დამგვიდრდა პროპაგანდისტებთან მუშაობის მთელი რიგი ახალი საინტერესო ტრადიციები. პროპაგანდისტთა რესპუბლიკური, რაიონული და საქალაქო შეკრებები, მეხვედრები და ერთობლივი ღონისძიებანი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებისა და რესპუბლიკების პროპაგანდისტებთან (დღემდე ასეთი შეხვედრები მოეწყო ლენინგრადის, ყაზანის, ულიანოვსკის, ესტონეთის პროპაგანდისტებთან).

პროპაგანდისტული მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას ამდენენ ჟურნალი „მეთოდური ბიულეტენი“, ბროშურების სერია, „პროპაგანდისტი“, „პროპაგანდისტთა ცხოვრება-საქმიანობის ამსაბეჭდი კრებულები „პარტიის ოქროს ფონდი“.

აღნიშნულ ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი. ეწყობა რესპუბლიკის პროპაგანდისტთა კადრების პერსპექტიული მომზადების, სპეციალიზაციის დაგეგმვა და კოორდინაცია, მზადდება მეთოდური მასალები სასწავლო გეგმების მიხედვით, ამავე მიზნით რაციონალურად ვიყენებთ პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და გამომცემლობათა შესაძლებლობებს. დიდი მუშაობა წარმოებს რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონულ და საქალაქო, აგრეთვე პირველად პარტიულ ორგანიზაციებში.

მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ მარქსისტულ-ლენინური განათლების მთავარი საკითხი — პროპაგანდისტთა კადრებთან მუშაობა ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამოქვეყნებულ დადგენილებაში, „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სხვა საკითხებთან ერთად ლაპარაკია პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზეც.

მთავარი პრობლემა პოლიტიკური განათლების სისტემაში პროპაგანდისტის პოლიტიკურა განათლების ფაქტია. რამდენად ჩამოყალიბებულია ჯერ მარტო ის ფაქტი, რომ ჩვენში ფილოსოფიას, პოლიტიკურ ეკონომიის თუ მეცნიერულ კომუნიზმს არა სპეციალისტებიც — ეკონომები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები ასწავლიან. მაგალითად, პარტიული განათლების ქსელში 7.134 პროპაგანდისტი ასწავლის პოლიტიკურ ეკონომიას, ამათგან 40 პროცენტი არასპეციალისტია. 2.803 პროპაგანდისტიდან, რომლებიც მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას ასწავლიან, მხოლოდ 300 კაცს აქვს მიღებული სპეციალური განათლება. დაახლოებით ამავე სურათს ვაწყდებით მეცნიერული კომუნიზმის სწავლებაშიც. რუსთაველი ეკონომიურ თეორიას 202 პროპაგანდისტი ასწავლის, ამათგან სპეციალური განათლება აქვს მხოლოდ 46-ს. 160 ისტორიკოსიდან სპეციალური განათლებით არის 23 კაცი, ხოლო 108 პროპაგანდისტიდან, რომლებიც ფილოსოფიას ასწავლიან, მხოლოდ ორს აქვს ფილოსოფიური განათლება. დაახლოებით ასეთი მდგომარეობა ტყიბულში, ჭიათურაში, ბორჯომში, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში. ამის გამოც არის, რომ ზოგჯერ სავალალო მდგომარეობაში ვარდებიან როგორც მსმენელები, ასევე პროპაგანდისტები.

რა დასკვნები უნდა გაკეთდეს აქედან?

დღევანდელ პირობებში პარტია მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდისტებს უყენებს ისეთ მაღალ მოთხოვნებს, როგორიც არის საგნის ღრმა ცოდნა, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის თანმიმდევრული დაუფლება, პროპაგანდა პარტიის, მუშათა კლასის პოზიციებიდან, ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან, საწარმოო კოლექტივების წინაშე მდგომ ამოცანებთან პროპაგანდის დაკავშირება, მეთოდური მუშაობის ჩვენების გამომუშავება და სხვ;

გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ მრავალი ინსპეციალისტის, თანაც პროპაგანდისტული მუშაობის არმცოდნე პროპაგანდისტის, ლექციაოსაუბრის შთამაგონებელი ძალა. აქ თავი არ უნდა მოვიტყუოთ. საკითხი ასე უნდა დავაყენოთ: ნუ ჩავაბარებთ მოუმზადებელ პროპაგანდისტებს სასწავლო ჯგუფებს, გამოვნახოთ იმის საშუალება, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ შინაგანი რეზერვები და უზრუნველვყოთ პოლიტიკური განათლების ქსელი მაღალი კვალიფიკაციის მცოდნე და განათლებული პარტიული პროპაგანდისტებით.

პირველ რიგში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა პოლიტიკური სკოლების და სემინარების ხელმძღვანელებად მაქსიმალურად გამოიყენონ ამა თუ იმ საგნის სპეციალისტები. ჩვენ ხშირად ვხედავთ ფაქტებს, როდესაც ეკონომისტები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები არ ეწევიან პროპაგანდისტულ მუშაობას. თუმცა ამ დროს ბევრ სკოლასა და სემინარში აღნიშნულ საგნებს არასპეციალისტები ასწავლიან.

ავიღოთ ჩვენი სტუდენტობა. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ათასობით სტუდენტი სწავლობს ეკონომიურ, ისტორიულ, ფილოსოფიურ მეცნიერებებს. შეიძლება ითქვას, რომ ჰუმანიტარული ფაკულტეტების მე-4, მე-5-კურსელი სტუდენტები თავის სპეციალობას საკმაოდ კარგად ფლობენ. თვითეული მათგანი შეიძლება იყოს პოლიტიკური განათლების დაწყებითი და საშუალო რგოლის საუკეთესო პროპაგანდისტი. ამ ღონისძიების გატარებას აბრკოლებს რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პოზიცია, რომლის აზრით, პროპაგანდისტული პრაქტიკა ხელს უშლის სასწავლო პროცესს.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ კარგი იქნება, თუ უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ჩვენი ახალგაზრდობის არა მხოლოდ აკადემიური, არამედ მათი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური აღზრდის კერაა, უკანასკნელი კურსის სტუდენტების სწავლა-აღზრდას დაუკავშირებს აგრეთვე პროპაგანდისტული, პოლიტიკური მოღვაწეობის პრაქტიკას.

მმრომელთა მარქსისტულ-ლენინური განათლების საქმეში უფრო აქტიურად უნდა ჩავაბათ ჩვენი ინტელიგენცია. ეს მოთხოვნა პირველ რიგში სამეცნიერო ინტელიგენციის შეეხება. საქართველოში 20 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი მოღვაწეობს. მათ შორის 5.606 მეცნიერების კანდიდატი, და 942 დოქტორია, ყოველი მათგანი, რა დარგის სპეციალისტიც უნდა იყოს, მარქსიზმ-ლენინიზმის სრულყოფილი პროპაგანდისტი გახდება. პოლიტიკური განათლების სისტემაში კი დღეს ჩაბმულია მხოლოდ 179 მეცნიერი.

პროპაგანდისტთა მომზადების მთავარი კერები მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებია. მართლაც, პოლიტიკური განათლების ქსელი კურსდამთავრებულთა ხარჯზე ყოველწლიურად ახალ შეგსებას იღებს. მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტები დაკისრებულ ამოცანებს ლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა გამოკითხვამ და ფორმალიზმი. მათ არადამაკმაყოფილებლად ეხმაროვ ბიან პარტიული კომიტეტებიც. ეს უკანასკნელნი ზოგჯერ უნივერსიტეტში ჩასარიცხა ამხანაგების შერჩევას ზერელედ ეკიდებიან. ამის შედეგია ის, რომ უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა ნაწილი პროპაგანდისტული საქმიანობისათვის გამოუსადეგარია.

არ უნდა დავივიწყოთ პროპაგანდისტთა შევსების ისეთი რეზერვი, როგორიც არის პარტიულ-სამეურნეო აქტივის ხალხები და თეორიული სემინარები. აღნიშნული სკოლებისა და სემინარების დღევანდელი მსმენელი პოტენციური პროპაგანდისტია.

უახლოესი 2-3 წლისათვის პროპაგანდისტულ კადრებთან მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად უნდა დავსახოთ პარტიული განათლების ქსელის პროპაგანდისტთა სპეციალიზაციის განხორციელება საგნების მიხედვით. ამასთან დაკავშირებით პროფესიონალ ვერ წყვეტენ. მათს მუშაობაში ბევრია დაინტერესებული პიროვნება, მომავალში შეუფერებელთათვის სრულიად უსარგებლო და უნაყოფო აღმოჩნდება ყოველგვარი კურსები და სემინარები. ჯერ კიდევ ხშირია შეხედულება, როდესაც პროპაგანდისტად იმას კი არ ნიშნავენ, ვისაც მეტი ცოდნა და განათლება აქვს, არამედ იმას, ვინც ნაკლებად ჭირვეულობს და იოლად თანხმდება პარტიული ორგანიზაციის დავალების შესრულებაზე.

გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ პროპაგანდისტებთან სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტების გამოყენებას. ამ მხრივ კარგად მუშაობენ მეცნიერ, ფოთის, ლანჩხუთის და ზოგიერთი სხვა პარტიული ორგანიზაციები. საჭიროა ამ საკითხს სხვა რაიონებსა და ქალაქებშიც მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მოქმედ პროპაგანდისტთა საშუალო ასაკი 45-50 წელია. წლების მანძილზე ბევრი გამოცდილი პროპაგანდისტი ხანდაზმულობის გამო პროპაგანდისტული მუშაობის სარბიელს ტოვებს, ცვლა კი ნელა მოდის.

პოლიტიკური განათლების ქსელის მცოდნე და კვალიფიციური პროპაგანდისტებით უზრუნველყოფა დამოკიდებულია პროპაგანდისტთა მეთოდურ დოსტატებასა და დახელოვნებაზე.

პროპაგანდის წარმატება გულისხმობს არა მხოლოდ მის მაღალ იდეურობას, მეცნიერულობასა და ღრმა შინაარსიანობას, არამედ აგრეთვე მშრომელთათვის პარტიის იდეების ახსნა-განმარტების ხერხებს. პროპაგანდისტის ხელოვნება, კლასიკური ლენინური განსაზღვრით, საბოლოო ანგარიშით იმას ნიშნავს, რომ საუკეთესოდ იმოქმედოს აუდიტორიაზე, ესა თუ ის წამოყენებული დებულება გასაღოს ყველასათვის მისაწვდომი და დამაჯერებელი.

მაგრამ არის კიდევ ძირითადი მეთოდი, რომელსაც მარქსისტულ-ლენინურ განათლებაში პირველხარისხოვანი როლი აქვს მინიჭებული. ეს არის წიგნზე დამოუკიდებელად მუშაობის, ყოველისა პირველწყაროების — მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებისა და სხვა პოლიტიკური ლიტერატურის ინდივიდუალურად შესწავლის მეთოდი. პროპაგანდისტებთან მუშაობას ამ მიმართებით მუდმივად უნდა ეწეოდნენ პოლიტიკური განათლების სახლები და კაბინეტები.

აი ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა დაგვეხმარება გადავჭრათ პარტიულ-კომკავშირული განათლების ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი პრობლემა: უზრუნველვყოთ პოლიტიკური განათლების ქსელი მცოდნე, განათლებული და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროპაგანდისტებით.

ვ. კაჭარავა.

ბრძოლები ინდოჩინეთში

ჰანოი. 28 აპრილი. (საკდესი). 25 და 26 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციამ და სამხედრო ხომალდებმა დაბომბეს თხაიბინის, ნამხის, ნინბინის, თხანჰოის, ნგეანის, ჰატინის, კუანგბინის პროვინციებისა და ვინლინის ზონის მჭიდროდ დასახლებული რაიონები.,

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღეს გამოქვეყნებულ განცხადებაში მკაცრად დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების ეს საომარი მოქმედება და მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და უშიშროების ხელყოფა.

ვიეტნამის სახალხო არმიის სანაპირო არტილერიის ნაწილებმა თხანჰოის პროვინციაში 25 აპრილს დაიჭიანეს ამერიკული ხომალდი, რომელიც ცეცხლს უშენდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას.

ნიუ-იორკი. 28 აპრილი. (საკდესი). ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების „ბ-52“ მძიმე ბომბდამშენებმა წუხელ 15 რეიდი მოაწყვეს სამხრეთ ვიეტნამის კუანგჩის, კონტუმისა და ბინლონგის პროვინციებში. მარტო ცენტრალური პლატოს რაიონებში ჩამოყარეს 700 ტონამდე მომაკვდინებელი ტვირთი.

დღეს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების სატანკო ნაწილებმა იერიში მიიტანეს საიგონის არმიის პოზიციებზე ქალაქ კუანგჩისთან. გაიფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს ზღვის სანაპიროზე 8 კილომეტრზე ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, აგრეთვე მის ჩრდილოეთით და დასავლეთით. პატრიოტები არტილერიის ინტენსიურ ცეცხლს უშენენ მოწინააღმდეგის განლაგებას. № 1 გზა კუანგჩი-ჰიუეს უბანზე გადაჭრეს განთავისუფლების ჯარებმა.

შეუთავარი ბრძოლები გრძელდება ცენტრალური პლატოს ვრცელ ტერიტორიაზე. დღეს მარონეტული ჯარები შეეცადნენ აღედგინათ თავიანთი კონტროლი ნომერ 14 გზისადმი (კონტუმ-პლეიკუ). მაგრამ ყველა მათი იერიში პატრიოტებმა მოიგერიეს. ქალაქი კონტემი პრაქტიკულად ალყამემორტყმულია.

ბინდინის სანაპირო პროვინციაში ზღვის სანაპიროსთან მიმდინარეობს გაფთრებული ბრძოლები. განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა იქ ალყა შემოარტყეს ქალაქ ბინგშონს და ცეცხლს უშენენ მტრის პოზიციებს. მეზობელი რაიონის ცენტრი ქალაქი ჰოაინი გასული კვირიდან პატრიოტთა ხელშია. საიგონის ეგრეთწოდებული „სამოქალაქო თავდაცვის“ რაზმების ათასობით წევრმა დაყარა იარაღი და ტყვედ დანებდა.

ჰანოი. 28 აპრილი. (საკდესი). დღეს სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა იერიში მიიტანეს ხიეუთხიენის სამხედრო ბაზის წინააღმდეგ 60 კილომეტრზე საიგონის ჩრდილო-დასავლეთით. განთავისუფლების ძალებმა დაიკავეს პოზიციები № 22 გზაზე და ამით ქალაქი ტაინინი მოწყვიტეს საიგონს.

განთავისუფლების პრესის საგენტოს მონაცემებით, 12-26 აპრილს ქალაქ ანლოკის რაიონში განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მარიონეტული არმიის 600-მდე ჯარისკაცი, დაიჭიანეს 62 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი.

დანანგის რაიონში 13-17 აპრილს სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა დახოცეს და დაჭრეს მოწინააღმდეგის 86 ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს 9 სამხედრო მანქანა.

ნიუ-იორკი
კომპარტიის წარმატება

28 აპრილი. (საკდესი). ნიუ-ჯერსის შტატში ამერიკელმა კომუნისტებმა მიმდინარე წლის საარჩევნო კამპანიაში ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის კანდიდატურების მხარდასაჭერად გაციცლებით მეტი ხელმოწერა მოაგროვეს, ვიდრე საჭირო იყო. ეს უფლებას აძლევს კომპარტიას გეს ჰოლისა და ჯ. ტაინერის გვარები შეიტანოს ნიუ-ჯერსის შტატის საარჩევნო ბიულეტენებში.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტებმა უკვე მიაღწიეს იმას, რომ თავიანთი კანდიდატები შეიყვანეს ალაბამის, კენტუკის, ოჰაიოს, პენსილვანიისა და იუტის შტატების საარჩევნო ბიულეტენებში.

ბონი
უნდოგლოგის ვოტუმი უარყოფილია

28 აპრილი. (საკდესი). სოციალ-დემოკრატებისა და თავისუფალი დემოკრატების კოალიციურმა მთავრობამ, რომელსაც კანცლერი ვ. ბრანდტი მეთაურობს, გაიმარჯვა ბუნდესტაგში, სადაც ოპოზიციურმა — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის პარტიამ ვერ მოაგროვა 249 ხმის უმრავლესობა გერმანიის სოციალურ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიციის უნდობლობის ვოტუმის მხარდასაჭერად.

ამრიგად, ეს ვოტუმი, რომელიც ითვალისწინებდა ახლანდელი კანცლერი შეეცვალა ოპოზიციის ლიდერს ბარცელს, უარყოფილია და ვ. ბრანდტი კვლავ რჩება დასავლეთ გერმანიის მთავრობის მეთაურის პოსტზე.

კამათის დროს ვ. ბრანდტმა ამხილა ოპოზიციის მანევრები, რომელიც უნდობლობის ვოტუმის საშუალებით ცდილობს ხელი იგდოს ძალაუფლება. მან აღნიშნა, რომ ქრისტიანულ-დემოკრატული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ეს მანევრი განხორციელდა ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარის შტრაუსის აშკარა ზეგავლენით.

ბრანდტმა კატეგორიულად უარყო ოპოზიციის ცდები გადადოს საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაცია. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოპოზიცია ფედერაციულ რესპუბლიკას „სამში იზოლაციის“ საფრთხის წინაშე აყენებს.

კანცლერმა დიდად შეაფასა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტრანსპორტო ხელშეკრულება, დაახასიათა იგი როგორც „ახალი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება“, რომელიც ემსახურება ორი გერმანიული სახელმწიფოს ურთიერთობის ნორმალიზაციას.

ბრანდტმა მხარი დაუჭირა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განგრძობას.

თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. შეელმა დაბეჯითებით გაფფრთხილა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირი თავი დაანებოს ცდებს, რათა ხელი იგდოს ძალაუფლება ქვეყანაში ამორჩეველთა უმრავლესობის აზრის გაუთვალისწინებლად.

შეელმა გადაჭრით გააკრიტიკა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის პოლიტიკა, რომელიც, როგორც მან აღნიშნა, ზიანს აყენებს „ევროპის მშვიდობას“, ხელს უშლის აღმოსავლეთ ევროპის მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას.

ბუნდესტაგში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის წარმომადგენელმა ვენერმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ნორმალიზაციას. ამასთან აღნიშნა, რომ საჭიროა მოეწყოს სრულიად ევროპის თათბირი უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე.

თავისუფალი დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ მიშნიკმა განაცხადა, რომ ოპოზიციას არა აქვს ახლანდელი მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკისადმი ნამდვილი ალტერნატივა.

ნიუ-იორკი
კომპარტიის წარმატება

28 აპრილი. (საკდესი). ნიუ-ჯერსის შტატში ამერიკელმა კომუნისტებმა მიმდინარე წლის საარჩევნო კამპანიაში ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის კანდიდატურების მხარდასაჭერად გაციცლებით მეტი ხელმოწერა მოაგროვეს, ვიდრე საჭირო იყო. ეს უფლებას აძლევს კომპარტიას გეს ჰოლისა და ჯ. ტაინერის გვარები შეიტანოს ნიუ-ჯერსის შტატის საარჩევნო ბიულეტენებში.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტებმა უკვე მიაღწიეს იმას, რომ თავიანთი კანდიდატები შეიყვანეს ალაბამის, კენტუკის, ოჰაიოს, პენსილვანიისა და იუტის შტატების საარჩევნო ბიულეტენებში.

ა. დევისის გასამართლება გრძელდება

ნიუ-იორკი, 28 აპრილი. (საკდესი). ანჯელა დევისის ადვოკატთა მოთხოვნით, მოსამართლე რ. არნასონმა, რომელიც თავმჯდომარეობს პროცესზე სან-ხოსეში (კალიფორნიის შტატი), მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც უკრძალავს ბრალდებას გამოაქვეყნოს სასამართლოში ამერიკელი კომუნისტის პირადი დღიური.

მოსამართლე ითქვლებული იყო ეღიარებინა, რომ ანჯელა დევისის დღიურს არავითარი კავშირი არა აქვს კალიფორნიის ხელისუფალთა მიერ მისთვის წაყენებულ ბრალდებებთან.

მიუხედავად ამისა პროკურორმა ა. ჰარისმა მიიღო მოსამართლის სანქცია გამოიყენოს „ნივთიერი დამამტკიცებელ საბუთებად“ ანჯელა დევისის რამდენიმე პირადი წერილი, რომლებიც ლოს-ანჯელესში უკანონოდ წაიღეს მისი ბინიდან გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა.

ჟაშინგტონი
სენატორები აკრიტიკებენ პრეზიდენტს

28 აპრილი. (საკდესი). პრეზიდენტ რ. ნიქსონის გამოსვლამ რადიოთი და ტელევიზიით, რომლის დროს მან გააშუქა მთავრობის სავიეტნამო პოლიტიკა, ბევრი ამერიკელი კონგრესმენის კრიტიკული გამოხმაურება გამოიწვია.

პოლიტიკა, რომელიც პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა, როდი უღებს ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევას ვიეტნამის საქმეებში, განაცხადა სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ უ. ფულბრაიტმა.

მთავრობამ, თქვა სენატორმა, მხოლოდ ომის ხასიათი შეიცვალა, შეამცირა ამერიკის სახმელეთო ჯარების მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებაში და ახორციელებს განსაზღვრულ დაბომბვასა და არტილერიის ცეცხლის დაშენას. მთავრობა „მოგვიწოდებს მხარი დავუჭიროთ პოლიტიკას, რომელმაც უკვე დაამტკიცა თავისი უსუსურობა“, ხაზგასმით აღნიშნა უ. ფულბრაიტმა. მან გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატები იმისათვის, რომ აფაროებს თავის სამხედრო ჩარევას ვიეტნამის საქმეებში საიგონის რეჟიმის გადასარჩენად.

„პრეზიდენტის სიტყვის ყველაზე აშკარა ნაკლი ის იყო, რომ არაფერი არ დაუდასტურებია მზადყოფნა წავიდეს ნამდვილ კომპრომისზე პარიზის მოლაპარაკებაში“, — განაცხადა კონგრესში სენატორმა ე. კენედიმ. პრეზიდენტის მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკა — ეს არის ვიეტნამში ომის და არა მშვიდობის პოლიტიკა. მისი მიზანია, რომ თხიეუს შეინარჩუნოს ძალაუფლება.

სენატორმა ხაზი გაუსვა, რომ ინდოჩინეთში სისხლისმღვრელი კონფლიქტის შეწყვეტის ერთადერთი გზაა „მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგება“, მიღწეული მოლაპარაკების გზით.

ვაშინგტონი
სენატორები აკრიტიკებენ პრეზიდენტს

28 აპრილი. (საკდესი). პრეზიდენტ რ. ნიქსონის გამოსვლამ რადიოთი და ტელევიზიით, რომლის დროს მან გააშუქა მთავრობის სავიეტნამო პოლიტიკა, ბევრი ამერიკელი კონგრესმენის კრიტიკული გამოხმაურება გამოიწვია.

პოლიტიკა, რომელიც პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა, როდი უღებს ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევას ვიეტნამის საქმეებში, განაცხადა სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ უ. ფულბრაიტმა.

მთავრობამ, თქვა სენატორმა, მხოლოდ ომის ხასიათი შეიცვალა, შეამცირა ამერიკის სახმელეთო ჯარების მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებაში და ახორციელებს განსაზღვრულ დაბომბვასა და არტილერიის ცეცხლის დაშენას. მთავრობა „მოგვიწოდებს მხარი დავუჭიროთ პოლიტიკას, რომელმაც უკვე დაამტკიცა თავისი უსუსურობა“, ხაზგასმით აღნიშნა უ. ფულბრაიტმა. მან გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატები იმისათვის, რომ აფაროებს თავის სამხედრო ჩარევას ვიეტნამის საქმეებში საიგონის რეჟიმის გადასარჩენად.

„პრეზიდენტის სიტყვის ყველაზე აშკარა ნაკლი ის იყო, რომ არაფერი არ დაუდასტურებია მზადყოფნა წავიდეს ნამდვილ კომპრომისზე პარიზის მოლაპარაკებაში“, — განაცხადა კონგრესში სენატორმა ე. კენედიმ. პრეზიდენტის მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკა — ეს არის ვიეტნამში ომის და არა მშვიდობის პოლიტიკა. მისი მიზანია, რომ თხიეუმ შეინარჩუნოს ძალაუფლება.

სენატორმა ხაზი გაუსვა, რომ ინდოჩინეთში სისხლისმღვრელი კონფლიქტის შეწყვეტის ერთადერთი გზაა „მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგება“, მიღწეული მოლაპარაკების გზით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება გამოსვლები მამაცი ამერიკელი კომუნისტის ანჯელა დევისის დასაცავად.

სურათზე: დემონსტრანტები ნიუ-იორკის ერთ-ერთ ქუჩაში. წინა პლაკატზე წერია: „ანჯელაზე თავდასხმა ყველა ჩვენგანზე თავდასხმაა!“

საკდესის ფოტოქრონიკა.

კაირო
მეგობროობის საკეთილდღეოდ

28 აპრილი. (საკდესი). კაიროს პრესა ფართოდ აშუქებს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ანვარ სადათის ვიზიტს საბჭოთა კავშირში და გამოთქვამს რწმენას, რომ ეს ვიზიტი ახალ წვლილს შეიტანს საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებასა და ნაყოფიერ განვითარებაში.

გაზეთი „ალ-გუმჰურია“ ხაზგასმით აღნიშნავს: „უდაოდ, პრეზიდენტ ა. სადათის ახლანდელი ვიზიტი და მისი მოლაპარაკება საბჭოთა ხელმძღვანელებთან, ისევე როგორც წინა შეხვედრები, მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრობის განმტკიცებასა და დიდ წვლილს შეიტანს ჩვენი ხალხების ერთობლივი ანტიიმპერიალისტური ბრძოლის საქმეში.“.

„საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ურთიერთობა წლითიწლობით მტკიცდებოდა და განსაკუთრებით განმტკიცდა 1967 წლის ივნისის ომის შემდგომ პერიოდში, როცა საბჭოთა ხალხმა და მისმა მთავრობამ უყოყმანოდ დაუჭირეს მხარი არაბი ხალხების საშართლიან ბრძოლას ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ. საბჭოთა სამხედრო დახმარება იყო მთავარი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ეგვიპტის შეუდრეკელობას ისრაელის იმპერიალისტური აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში“, — აღნიშნავს გაზეთი.

დასავლეთ ბერლინი
რეაქციის დამარცხება

28 აპრილი. (საკდესი). შვიდო რა ბრანდტ-შეელის მთავრობისადმი ოპოზიციის მიერ შეტანილი უნდობლობის ვოტუმის უარყოფას, დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ გ. დანელიუსმა განაცხადა, რომ ამით საგრძნობი დამარცხება განიცადეს ყველაზე რეაქციულმა ძალებმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომლებიც ყველაზე მტრულად ეკიდებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან დადებულ ხელშეკრულებებს, უარყოფენ ევროპის მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის პოლიტიკას.

გასაგის შურისძიება

[illegible] ერთ-ერთ [illegible] ელოსგეი. ესპანეთში სამოქალაქო ომის წლებში იგი რესპუბლიკური არმიის კაპიტანი იყო და 1937 წლის აპრილში მონაწილეობდა ვერნიკის დაცვაში — ქალაქისა, რომელიც ბასკთა ქვეყანაში ეროვნული ტრადიციების ცენტრად მიაჩნდათ. ფაშისტებმა ვერ გატეხეს ქალაქის დამცველთა წინააღმდეგობა და ხაშველად ავიაცია გამოიძახეს. ჰიტლერული ლეგიონის „კონდორის“ თვითმფრინავებმა ქალაქი ნანგრევებად აქციეს.

ხოსე ფელის ელოსგეის საკუთარი თვალით ნახა ეს თავდასხმა. და დაიფიცა შური ეძია ბასკთა წმინდა ქალაქის მოსპობისათვის. 1970 წლის 18 სექტემბერს ნანსებასტიანში ბასკური ბურთის VI საერთაშორისო ჩემპიონატის გახსნის დღეს, რომელსაც თვით ფრანკო ესწრებოდა, რესპუბლიკელთა ყოფილმა კაპიტანმა საშველი ნივთიერება გადაისხა, მოიკიდა ცეცხლი და შეძახილით — „გაუმარჯოს ბასკთა თავისუფალ ქვეყანას!“ სტადიონის მოალეი კედლიდან მოედანზე გადაეშვა. ელოსგეის დატოვა წერილი, რომელშიც განაცხადა, რომ ალარ შეუძლია სიცოცხლე, რადგან იტანჯება გერნიკის ბარბაროსული მოსპობის მოგონებით და უნდა თავისი თვითდაწვით გამოიწვიოს სინდისის ქენჯნა ამ დანაშაულის ორგანიზატორებში.

მაგრამ ბახკი არ დაიღუპა. იგი შემთხვევით დაეცა ორ პოლიციელს და მათ ჩაუქრეს ცეცხლი. ახლა ელოსგეის ასამართლებენ ძირგამომთხრელი პროპაგანდის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და პოლიციელთათვის შეყენებული დაზიანების ბრალდებით. პროკურორი მოითხოვს, რომ ელოსგეის 11 წლის პატიმრობა მიუსაჯონ.

ფრენა დამთავრდა

ნიუ-იორკი. 28 აპრილი. (საკდესი). გუშინ 22 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის დროით კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-16“, რომელშიც იყვნენ კოსმონავტები ჯ. იანგი, ჩ. დიუკი და თ. მატინგლი, დაჯდა წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში ჰავაის კუნძულების სამხრეთით.

კოსმონავტებს დაჯდომის რაიონში ელოდა მაშველი გემების რაზმი: დაჯდომის შემდეგ მყვინთაველები დეხმარნენ კოსმონავტებს გამოსულიყვნენ ეკიპაჟის ნაკეთეთურიდან. ვერტმფრინავმა ისინი მიიყვანა ავიამზიდ „ტიკონდეროგზე“.

დამთავრდა 11 დღის ფრენა, რომლის მსვლელობაშიც კოსმონავტები იანგი და დიუკი დაჯდნენ მთვარეზე. მათ მთვარის ზედაპირზე დაახლოებით 71 საათი დაჰყვეს. იანგი და დიუკი სამჯერ გავიდნენ მთვარის ზედაპირზე. ს

იმ ქართველთა ღვაწლი მოსაგონებლად

ვალმოხდილი

ვალმოხდილს იტყვიან ისეთ ადამიანზე, რომელმაც მთელი თავისი ჭეშმარიტი, გონება, ნიჭი, უნარი, მთელი თავისი ენერგია და სიმხურვალე გულისა ბოლომდე მოახმარა ხალხს, საშობლოს სამსახურს.

ჩვენს ქვეყანაში მილიონობით არიან ასეთი ადამიანები. მათი მეოხებით არის ძლიერი ჩვენი ქვეყანა. ასეთი ადამიანებია, რომ ამდიდრებენ ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებას. ასეთი ადამიანებით ამაყობს ჩვენი ხალხი, ჩვენი პარტია. უიმათოდ ცხოვრება უფერული იქნებოდა.

ვალმოხდილობაზე ვლაპარაკობთ. ბევრმა საბჭოთა მამულიშვილმა იშრომა და იღვაწა პირნათლად ამ ქვეყნად და ვალმოხდილი წავიდა. მათი ღვაწლის არდავიწყება შთამომავლობის კეთილშობილური საქმეა. ერთ-ერთი ასეთი ადამიანი მინდა გაგახსენოთ დღეს.

ეს გახლავთ ჩვენი თანამემამულე, ორგზის წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ცნობილი მამაცი ოფიცერი, სამამულო ომში სახელგაჩენილი 407-ე ცალკე წითელდროშოვანი, გვარდიული საარტილერიო დივიზიონის მეთაური პოლკოვნიკი გრიგოლ იოსების-ძე ბარბაქაძე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ სამუდამოდ მიებარა ლენინგრადის მიწას, იმ მიწას, რომლის დაცვისა და გადარჩენისათვის ბრძოლას მან შესწირა თავისი ენერგია, მხედრული ნიჭი, გამოცდილება და სამარადისოდ უკვდავყო თავისი სახელი.

მრავალჯერ დაწერილა ცენტრალურ თუ ჩვენს რესპუბლიკურ პრესაში და გადაცემულა რადიოთი და ტელევიზიით ბალტიკის ამ ქართველი ოფიცერის მამაცობის, გულადობის, მხედრული გამჭრიახობის, მაღალი პატრიოტიზმისა და მტრისადმი მრისხანე სიძულვილის შესახებ. გარდაცვალებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე მის შესახებ საქართველოს ცისფერი ეკრანებიდან მოგვითხრობდა ბალტიკის მეორე ქართველი მხედართუფროსი კონტრ-ადმირალი აბაშელი. თავდაპირველად კი გრიგოლ ბარბაქაძის სასახელო საბრძოლო საქმეები სამამულო ომის პირველ დღეებში ცნობილი გახდა გამოჩენილი საბჭოთა მწერლის ვსევოლოდ ვიშნევსკის ფრონტული ნარკვევებიდან ცენტრალურ პრესაში.

ვ. ვიშნევსკი, როგორც ცნობილია, თვითონ ბალტიელი მეზღვაური გახლდათ ადრე და ხშირი სტუმარი იყო თავისი ძველი თანაფლოტელებისა. იგი ბარბაქაძის დივიზიონშიც ხშირად მიდიოდა და ხედავდა, თუ რა თავდადებით იცავდნენ ოქტომბრის აკვანს ბალტიკის სანაპირო დაცვის არტილერისტები ქართველი ოფიცრის მეთაურობით. ჯერ კიდევ მაშინ ვ. ვიშნევსკის ნარკვევიდან გავიგეთ, თუ რა თავზარს სცემდნენ ბარბაქაძის არტილერისტები გერმანელ დამპყრობლებს ლენინგრადის მისადგომებთან. მწერალი გადმოსცემდა ტყვე გერმანელი მფრინავის განცხადებას იმის შესახებ, თუ მათს ტანკებსა და ქვეითებს რა შიშის ზარს სცემდა რკინიგზაზე მოსიარულე რაღაც საოცარი და საშინელი ნაგებობა, რომელსაც „ბარბაქაძეს“ უწოდებდნენო.

ქართველი კაცისათვის უდავოდ დიდი პატივი იყო მეთაურობა ბალტიკის ამ ძველისძველი სანაპირო არტილერიისა, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს ჰქონდა ჩაყრილი და რომელიც მეორე მსოფლიო ომის მრისხანე დღეებში გმირულად იცავდა ლენინის ქალაქს. ბარბაქაძის არტილერისტები ცეცხლის ქვართქაფს აფრქვევდნენ მტერს თავზე და საშუალებას არ აძლევდნენ განეხორციელებინა თავისი ჯოჯოხეთური განზრახვა — მოესპო და პირისაგან მიწისა აღეგვა ყოველი პატიოსანი ადამიანისათვის საყვარელი ეს ქალაქი.

გრ. ბარბაქაძის არტილერისტები რაღაც გასაოცარ გამომგონებლობას იჩენდნენ მტრის მოსატყუებლად. დივიზიონში ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების წარმომადგენელი მსახურობდა. იგი საბჭოთა ადამიანების მტკიცედ შეკრული ძმური ინტერნაციონალურ კოლექტივს წარმოადგენდა, რომლებიც თავიანთ სასახელო საქმედ მიიჩნევდნენ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მდგარიყვნენ ნევის ამ ციხე-სიმაგრის დასაცავად.

ამ სამი წლის წინათ თვით გრ. ბარბაქაძე წერდა გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“, თუ როგორ აციცა ლენინგრადი მისი დივიზიონის მებრძოლმა, პროფესიითა ელექტრიკოსმა, ბათუმელმა პაიპაძემ მტრის სამი ათასი საარტილერიო ჯარი. ამ მებრძოლს ისეთი ელექტროსიგნალიზაცია გამოეგონა, რომ დივიზიონის არტილერისტები წინასწარ იგებდნენ როდის უნდა გამოესროლა ქვეშეცი მტერს. ასწრებდნენ მას და ადგილზევე ანადგურებდნენ მათს ბატარიებს.

უზომოდ უყვარდათ დივიზიონის არტილერისტებს თავიანთი მეთაური, რომელსაც სიყვარულით „ბატიას“ (მამას) ეძახდნენ, მიუხედავად იმისა, რომ იგი მაშინ 30 წლისაც არ იყო და კაპიტნის ჩინი ჰქონდა.

ლენინური კომკავშირის წევრი 1926 წლიდან და საბჭოთა კავშირის კომპარტიის წევრი 1933 წლიდან, თეიჯოლელი გრიგოლ ბარბაქაძე სამხედრო-საზღვაო ფლოტის კადრის ოფიცერი იყო. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე იგი შრომითი საქმიანობის გზას დაადგა და შაგ მუშად დაიწყო მუშობა კამეოლური მაუდის ფაბრიკის მშენებლობაზე თბილისში. მშენებლობის დამთავრების შემდეგ იგი ფაბრიკამ სასწავლებლად გაგზავნა მოსკოვის საფეიერო ინსტიტუტში, საიდანაც კომკავშირული გაწვევით გაგზავნეს სევასტოპოლში სასწავლებლად. წარჩინებით დაამთავრა მან ეს სასწავლებელი და გაამწესეს ბალტიკაში. აქ იგი მსახურობდა 1961 წლამდე, თადარიგში გადარიცხვამდე.

გრ. ბარბაქაძის დივიზიონმა გაიარა ომის მძიმე და გრძელი გზა ნევის ნაპირებიდან აღმოსავლეთ პრუსიამდე და მამაცური ბრძოლებისა და გამარჯვებების უჭკნობი შარავანდედით შეიმოსა თავი.

გასაკუთრებით გამოიჩინა დივიზიონმა თავი კლაიპედისათვის ბრძოლაში. მეზღვაურმა არტილერისტებმა ბარბაქაძის მეთაურობით მოსპეს მოწინააღმდეგის ათობით ნამსატყორცნი და საარტილერიო ბატარიები, ტანკები და სხვა ტექნიკა.

რატომ განსაკუთრებით კლაიპედისათვის?

კლაიპედიდან გადიოდა უმოკლესი გზა მტრის კომუნიკაციებისა და საზღვაო ბაზებისაკენ, აქედან იხსნებოდა პირდაპირი გზა ფაშისტური ბუნგიოსაკენ. ამიტომ ჰიტლერელებმა გასაოცრად გაამაგრეს იგი, თავგამოდებით იცავდნენ რა ხელიდან რომ არ წასულოდათ, ველური გაფთრებით წამოეგიდნენ კონტრშეტევაზე. ისეთი ჯოჯოხეთური იყო ეს გამოლაშქრება რიცხობრივად ჭარბი მტრისა, რომ ჩვენმა ჯარებმა ველარ შეძლეს გამკლავება და უკანდახევა იწყეს. ბარბაქაძემაც მიიღო პოზიციის დატოვების ბრძანება. მტერი უკვე ისე ახლოს იყო მისული, რომ მეზღვაურები არა თუ ბატარეების ახალ პოზიციებზე გადაყვანას, არამედ მათ აფეთქებასაც ველარ მოასწრებდნენ. მთელი დივიზიონის ტყვედ ჩავარდნის საშიშროება შეიქმნა. უზომო სიჩქარით მომავალი მტრის ტანკები და თვითმავალი ქვემეხები გრიგოლისებურ ცეცხლს აფრქვევდნენ. „უკანდახევისათვის დრო არ მეყოფა, ჩემს წინ მტერს ვხედავ, ვიწყებ სროლას“ — მოახსენა ბარბაქაძემ სარდლობას. ხასიკვდილო საფრთხის წინაშე აღმოჩენილი დივიზიონის არცერთი მეზღვაური-არტილერისტი არ შემდრკალა. ყველა ზუსტად, სწრაფად და აუღელვებლად მოქმედებდა. დივიზიონის მძიმე ქვემეხებმა პირდაპირი დამიზნებით დაუშინეს მტრის ტანკებს. რაც უფრო უახლოვდებოდათ მტერი, მით უფრო გამანადგურებელი ხდებოდა ბარბაქაძის არტილერისტების ცეცხლი. ნაქები „დიდი ვერმანიის“ დივიზიის ტანკებმა ვერ გაუძლეს ბალტიელი არტილერისტების მეზღვაურებს, ზოგიერთი ტანკი ნაფოტებად აქცია მეზღვაურების მძიმე ჭურვებმა, ზოგიერთებს ცეცხლი წაეკიდა და სამუდამოდ დადუმდა, დანარჩენებმა კი უწესრიგოდ მოუსვეს უკან, ისე უწესრიგოდ, რომ თავისსავე ჯარისკაცებსაც ვეღარ ამჩნევდნენ, სროლდნენ და თელავდნენ მათ.

ასე ჩაიფუშა ვერმანელების კონტრშეტევა. ბალტიისპირეთის ფრონტის მარეგბმა შემუსრეს მტერი და შეიჭრნენ ჭ. კლაიპედაში. მემელის ყურეში ვერმანელების საზღვაო ტრანსპორტზე დასხდნენ. ბარბაქაძის დივიზიონის არტილერისტებმა პირდაპირი მოხვედრებით ჩასძირეს ეს ტრანსპორტები.

ბალტიისპირეთის ფრონტის მაშინდელი სარდალი მარშალი ქ. ი. ბაგრამიანი თავის მემუარებში იგონებს ბარბაქაძის არტილერისტების ამ მამაცობას.

უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის ბრძანებაში, სადაც მოხსენიებული არიან ის ნაწილები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს კლაიპედისათვის ბრძოლებში, მოხსენებულია ბარბაქაძის დივიზიონიც.

დივიზიონის 204 მებრძოლი და მეთაური ამ ბრძოლებისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოეს.

როცა დივიზიონი უკვე კენიგსბერგის მისადგომებთან იბრძოდა და ფაშისტების კურლანდიის დაჯგუფების ნაშთებს მუსრავდა, 1945 წლის აპრილში უმაღლესმა მთავარსარდალმა ბარბაქაძე სწრაფად დადაიყვანა შორეულ აღმოსავლეთში. მას ჩაბარდეს 222-ე საზღვაო საარტილერიო დივიზიონის მეთაურობა, რომელიც ამჯერად უკვე იაპონელ მილიტარისტებს ანადგურებდა. ამ დივიზიონმა ბრძოლებით გაიარა გზა ხარბინიდან პორტ-არტურამდე.

1955 წელს გ. ბარბაქაძემ დაამთავრა სამხედრო-საზღვაო აკადემია და კვლავ თავის საყვარელ ბალტიკის ფლოტში განაგრძობდა სამსახურს. ასწავლიდა და ზრდიდა მეზღვაურ-არტილერისტებს სამშობლოს ერთგულ შვილებად და მის სასახელო დამცველებად.

თადარიგში გასვლის შემდეგაც ბალტიკის სახელოვანი ქართველი ოფიცერი განაგრძობდა მუშაობას და მთელ თავის მდიდარ გამოცდილებასა და ცოდნას ახმარდა საზღვაო არტილერიის სრულყოფას, მისი ახალი ტექნიკით აღჭურვას, სამშობლოს თავდაცვის განმტკიცებას.

ასე პატიოსნად, კეთილშობილურად და შინაარსიანად იცოცხლა და იღვაწა ამ კაცმა და თავის სამშობლოს წინაშე სავსებით ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან 61 წლისა. დიდი სამხედრო ფლოტური პატივით დაკრძალეს მისი ნეშტი მისმა თანამებრძოლებმა ლენინგრადის წმინდა მიწაში.

ამბობენ, საუკეთესო ადამიანები სიცოცხლეს სიკვდილის შემდეგაც განაგრძობენო. იმ სახელებს შორის, რომლებიც სიკვდილის შემდეგაც განაგრძობენ სიცოცხლეს, უთოოდ დარჩება ჩვენი ერის სახელოვანი შვილის, ბალტიკის მამაცი ოფიცრის, მრავალი საბრძოლო ორდენისა და მედლის კავალერის, გვარდიის პოლკოვნიკ გრიგოლ ბარბაქაძის სახელიც.

ა. კელენჯერიძე.

ფეხბურთი

ჯაიჩის იმედით

ბელგრადი, 27 აპრილი (საკუთარი). დღეს ბელგრადში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც 30 აპრილს ეცილება ბელგრადის სტადიონზე შეხვედრა იუგოსლავიის ნაკრებს მეოთხედფინალურ მატჩში ევროპის პირველობაზე. ღღეს და ხვალ ჩვენი ფეხბურთელები შეხვედრის წინ ჩაატარებენ უკანასკნელ წვრთნას.

იუგოსლავიის ნაკრების ფეხბურთელები მატჩისათვის ემზადებიან ქალაქ ნოვი-სადში. იუგოსლავიის ნაკრების ცხრამეტ მონაწილეს შორის არიან 10 კლუბის ფეხბურთელები. განსაკუთრებულ იმედებს ამყარებენ ჯაიჩზე. როგორც ცნობილია, ამ ფეხბურთელმა სეროიზული ტრავმა მიიღო და ერთხანს არ გამოდიოდა ოფიციალურ შეჯიბრებებში.

საზღვარგარეთის სტადიონებზე

ბელგრადი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა ფრედ — 0:0 დაამთავრა შეხვედრა იუგოსლავიის გუნდთან და მიუნხენის ოლიმპიური ასპარეზობის საგზური მოიპოვა.

ვარშავა. ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩი მეორე ჯგუფში პოლონეთისა და ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდებს შორის დამთავრდა პოლონელთა გამარჯვებით 2:0.

პრაღა. ამხანაგური მატჩში ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელებმა სძლიეს ლიუქსემბურგის გუნდს 6:0.

ბლაზგო. შოტლანდიის ფეხბურთელებმა დაამარცხეს პერუს გუნდი 2:0.

ხალიჩაზე ქრიან „კლასიკოსები“

თამაშუშალი სტილის მოჭიდავეები კატოვიცეში „კლასიკოსებმა“ შეეცვალეს. ეს არის ევროპის ჩემპიონატი. გუშინ სტარტზე პირველი წმინდა გამარჯვება ჩაიწერეს აქტივში სოკოლოვმა (ქვემსუბუქი წონა) და კონსტანტინოვმა (მჩატე წონა). ქულებით მოიგეს შეხვედრები ზუბკოვმა (უმჩატესი წონა) და ტოპოროვმა (მსუბუქი წონა).

რამდენიმე სტრიქონით

● ბელგრადში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში. მონაწილეობს ოთხი პოპულარული ნაკრები — იუგოსლავიის, სსრ კავშირის, უნგრეთისა და იტალიის გუნდები. პირველი მატჩი საბჭოთა ნაკრებს ჰქონდა ოლიმპიურ ჩემპიონთან, იუგოსლავიის ნაკრებთან და დაამარცხა ძლიერი მეტოქე 3:2.

● „ა“ კლასის მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდები განაგრძობენ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. 27 აპრილს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები. აი მათი შედეგები: „დინამო“ (სოხუმი) — „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) 1:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 0:0, „გორია“ (ლანჩხუთი) — „ტრუდი“ (ვორონეჟი) 1:1, „მერცხალი“ (ბაბარაძე) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:0, „დილა“ (გორი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:1.

ფერთა სიმფონია

ნათელა იანქოშვილის პერსონალურ გამოფენაზე

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ნათელა იანქოშვილის სახელი ცნობილია ჩვენი საზოგადოებისათვის. მისი ყოველი ახალი პერსონალური გამოფენა სიხარულს ანიჭებს მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს. საზოგადოებრივ ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების საქართველოს საზოგადოების შენობაში საზოგადოების სახვითი ხელოვნების სექციამ და მხატვართა კავშირმა მოაწყეს ნათელა იანქოშვილის რიგით მეექვსე პერსონალური გამოფენა.

დარბაზში წარმოდგენილია იანქოშვილის ცნობილი გრაფიკული და ფერწერული ტილოების მთელი სერია, რომელიც მხატვარმა მიუძღვნა კუბელი და კურასაოელი ზანგების ყოფას. უყურებთ კუბელი გოგონებისა თუ მექსიკელთა პორტრეტებს, მათი ყოფისათვის დამახასიათებელ კომპოზიციურ სურათებს და გზიბლავთ მხატვრის ინდივიდუალური ხელწერა, მოვლენათა ორიგინალური ხედვა. მხატვარი ფერთა სოცარი კონტრასტებით მოგვითხრობს შორეული კუბელი თუ მექსიკელი ხალხისათვის დამახასიათებელ ყოფითს მხარეებზე, მათს სევდასა თუ სიხარულზე.

ამ მხრივ საინტერესოა მისი „მულატი მოეკვეთვებინ“, „ზანგი ბიჭი საფურვებით“, „ჩალის ქუდი“, „ტერეზა და პედრო“, „ქალ-ვაჟი“.

ყურადღებას იქცევს ზანგების თემა. ნათელა იანქოშვილი დიდი ოსტატობითა და სიყვარულით ქმნის ერთი მხრივ კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ზანგების ორიგინალურ მხატვრულ სახეებს, მეორე მხრივ გვიჩვენებს თავისუფლების კუნძულ კუბაზე თეთრკანიანებთან ერთად ახალი ცხოვრების მშენებელ ზანგთა პორტრეტებს. აი თუნდაც „კუბელი სტუდენტი გოგონები“, „სახალხო მილიციელი“, მოეკვეთვე ზანგი ქალების სურათების მთელი სერია.

საინტერესოდ არის გადაწყვეტილი მექსიკელი ქალებისა თუ მამაკაცების პორტრეტები. მათს სახეებში იგრძნობა ამაყი სული, ამაღლებული განწყობილება, მნახველებს ხიბლავს ღიღი ფერწერული ტილოები ესპანელი და მექსიკელი ქალებისა.

მოწონების ღირსია მხატვრის მიერ თავისებურად დანახული და გაგაზრებული პეიზაჟები. ჩამუქებული ცის ფონზე აზიდული თეთრი პალმების შტოები, შავი და თეთრი ფერების კონტრასტებში გადაწყვეტილი „ჰემინგუეის ს